

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

მეფრინველეობა და კვერცხის წარმოება

1. შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე პრადის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი), საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციის - „People in Need“-ის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება და ანალიზი პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ხორციელდება ”ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში” (ENPARD GEORGIA)-ს ფინანსური მხარდაჭერით.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევიტმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა.

კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონიდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც გავრცელებულია მეფრინველეობა და კვერცხის წარმოება:

- ხონი
- თერჯოლა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:


- 2013 წლის ივლისი - წარმოების სისტემები რვა ძირითადი პროდუქტისათვის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში;
- 2013 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება.
- 2015 წლის აპრილი - ივნისი ანგარიშის განახლება

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებული იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ საკითხებთან და თემებთან მიმართებაში ქცევისა და აღქმის შკალის გამოვლენას. ნახევრადსტრუქტურული, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოყენებულ იქნა, როგორც ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა ისეთ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 2 საათამდე. რესპოდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. შედეგად დღის წესრიგში დადგა ისეთი რესპოდენტების იდენტიფიცირება და ინტერვიუების წარმოება, როგორებიც არიან: სხვადასხვა ზომის ფერმერები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები, ასევე, აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან თესლს, სხვადასხვა სახეობის სამუშაო იარაღს, ტექნიკას და სხვა ნაწარმს.

მეფრინველეობისა და კვერცხის წარმოების შესახებ სავსე მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ინტერვიუები მეფრინველეობის ფერმერების წარმომადგენლებთან
- ინტერვიუები ფრინველის საკვების მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან;
- ფრინველის ხორცისა და კვერცხის ბაზრის შესწავლა.

სურათი 1. მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა




თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მომაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და ა.შ.

3 მეფრინველეობა – როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი


იმერეთის რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, მეფრინველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. საქსტატის მონაცემებით 2012 წლისათვის ქვეყანაში წარმოებული ფრინველის ხორცისა და კვერცხის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) შეადგენს დაახლოებით 1%-ს. ქვეყანაში 2000-იანი წლებიდან მოყოლებული მეფრინველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მზარდ დარგს წარმოადგენდა, თუმცა 2004 წლის ბოლოდან მსოფლიოში ფრინველის გრიპის შემთხვევების მატებამ და ეპიდემიის წარმოქმნის საშიშროებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში ფრინველის ხორცისა და კვერცხის

მოხმარების მოცულობაზე და შესაბამისად წარმოებაზეც. აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 30%-ით შემცირდა ფრინველის ხორცის წარმოება.

დიაგრამა 1. კვერცხის ბაზრის დინამიკა (მლნ ცალი), წყარო: Geostat.ge¹



დიაგრამა 2. ფრინველის ხორცის ბაზრის დინამიკა (ათ. ტ)²




ეპიდემიის გავრცელების რისკის შემცირების შემდეგ სექტორმა კვლავ დაიწყო განვითარება, თუმცა 2012 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში მოხმარებული ფრინველის ხორცის მხოლოდ 20% არის ადგილზე წარმოებული, დანარჩენი კი იმპორტირებულია რაც შეეხება კვერცხს, ეპიდემიის გავრცელების რისკის გამო ქვეყანაში შეიზღუდა მისი იმპორტი. შეზღუდვა მოქმედებდა 2012 წლის ბოლომდე, რის შედეგად აღნიშნულ პერიოდში, საკვებად მოხმარებული კვერცხის 100% იყო ადგილობრივი წარმოების

¹ http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka

² http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka

(აღნიშნულ პერიოდი იმპორტირებული კვერცხი გამოიყენებოდა მხოლოდ საწარმოო დანიშნულებით – წიწილის გამოსაჩეკად), შეზღუდვის მოხსნის შემდეგ კი ადგილობრივი მოხმარების დაახლოებით 5% კვლავ იმპორტმა დაიკავა

დიაგრამა 3. ფრინველის ხორცის წარმოება (ათასი ტონა), წყარო: Geostat.ge³



საქართველოში სოფლად მცხოვრებ თითქმის ყველა ოჯახს შინამეურნეობში გააჩნია 20-დან 50 ფრთამდე შინაური ფრინველი. თუმცა მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, მისი უმრავლესობა კონცენტრირებულია იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და ქვემო ქართლში.

ცხრილი 1. ფრინველის სულადობა რეგიონების მიხედვით (ათასი ფრთა)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სულ საქართველო	5401	6150	6682	6674	6521	6360	6159	6413	6404
იმერეთი	1212	1159	1318	1186	1237	1057	1039	1186	1159
სამეგრელო ზემო სვანეთ	1014	1471	1359	1207	1073	1016	1058	1062	1065
შიდა ქართლი	265	266	314	446	465	443	434	440	443
კახეთი	879	805	1004	1088	1088	1025	945	1000	1020
ქვემო ქართლი	1212	1573	1641	1644	1537	1739	1733	1740	1738
დანარჩენი რეგიონები	820	876	1044	1100	1121	1079	949	985	988

³ http://pc-axis.geostat.ge/Selection.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cAnimal+Husbandry%5cTABLE_3.02-13.px

4 მეფრინველეობის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 წარმოების სისტემები

იმერეთის რეგიონში სოფლად მეფრინველეობას ეწევა ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, თუმცა ნამეტი პროდუქტი ასევე გააქვს ბაზარზე, რაც შეადგენს მთლიანად წარმოებული ფრინველის დაახლოებით 20-30%-ს და კვერცხის 35-40%-ს.

ფრინველის ხორცი. როგორც კვლევამ აჩვენა, იმერეთის რეგიონში სოფლად მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახი წლის მანძილზე ზრდის 20-დან 50-მდე ფრთა ფრინველს. გარდა ამისა, რეგიონის რამდენიმე

მცხოვრები საოჯახო მეურნეობების უმეტესობა



სურათი 2. კვერცხის მწარმოებელი მეფრინველეობის ფერმა იმერეთში

მუნიციპალიტეტში (მაგალითად ხონი, თერჯოლა და ა.შ.) ბოლო წლებში მომრავლდა მეფრინველეობის წვრილი საოჯახო ფერმები, რომლებიც მოწყობილია უშუალოდ ოჯახებში და საკვებ ბაზად ძირითადად იყენებენ საკუთარ მეურნეობაში მოწეულ სიმინდს. თითოეული ასეთი საოჯახო ფერმერული მეურნეობების მიერ წლის მანძილზე წარმოებული ფრინველის რაოდენობა დაახლოებით 3000 ფრთამდეა. როგორც წესი, ასეთი ფერმერების უმეტესობა (დაახლოებით 95%) აწარმოებს მხოლოდ ფრინველს და არა კვერცხს. რეგიონში ასევე არის მეფრინველეობის საშუალო და მსხვილი (სულ 3 მწარმოებელი იმერეთში) ფერმერული მეურნეობები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ შესაბამისად 3-დან 15 ათასამდე და 15 ათასიდან 70 ათასამდე რაოდენობის ფრინველს.

საველე კვლევით და ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ იმერეთის რეგიონში წარმოებული ფრინველის 60% წარმოებულია საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში, ხოლო 40% სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, თუმცა ბაზრისათვის მიწოდებული ფრინველის მხოლოდ 30% არის წარმოებული საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში.

მწარმოებელთა სულ უფრო მეტი რაოდენობა უკანასკნელ წლებში სახორცედ იძენს ბროილერის ჯიშის ე.წ. ერთდღიან წიწილას, რომელსაც უკვე ჩატარებული აქვს პირველი აცრა და აღარ ახდენენ კვერცხის შექმნას და მისგან წიწილის გამოჩეკვას მაშინაც კი, თუ საკუთარი ინკუბატორი გააჩნიათ. რაც იმას ნიშნავს, რომ თანდათანობით ღრმავდება შრომის დანაწილება და სპეციალიზაცია, რაც დარგის

განვითარების ერთ-ერთი შედეგია. წიწილებს ძირითადად იძენენ რეგიონში არსებული ინკუბატორებიდან და ერთი ცალის ღირებულება საშუალოდ 1,1 ლარს შეადგენს და ის სასაქონლო წონას აღწევს დაახლოებით 35-40 დღის განმავლობაში. ფრინველი იზრდება დახურულ სივრცეში სტაბილური ტემპერატურული რეჟიმის პირობებში, ვენტილაციის, განათებისა და ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით სპეციალურ გალიებში. ერთ კილოგრამ მზა პროდუქციაზე (ხორცი, კვერცხი) იხარჯება 1,5 – 2,2 კგ კომბინირებული საკვები. დამატების სახით, სადამოშობით მათ აწვდიან მცირე რაოდენობით სიმინდს, ხორბალს, მწვანე ბოსტნეულს და სხვა საკვებს

კვერცხი კვერცხის წარმოება სარეალიზაციოდ ხდება უპირატესად მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. საველე კვლევით და ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ კვერცხის წარმოების 52% მოდის საოჯახო მეურნეობებზე, ხოლო 48% სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, ბაზრისათვის მიწოდებული პროდუქციის 85% კი წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

რეგიონში კვერცხის მწარმოებელთა რაოდენობა ძალიან მცირეა და არ აღემატება 5-ს (არ იგულისხმება საოჯახო მეურნეობები, რომლებიც წარმოებული კვერცხის დიდ ნაწილს თავად მოიხმარენ). მათ ძირითადად შემოყავთ კვერცხმადებარი ჯიშის ქათმები თურქეთიდან. რეგიონში ძირითადად გავრცელებულია კროსის ჯიშის მეკვერცხული ქათამი. წლის განმავლობაში ერთი დედალი 250 – მდე კვერცხს იძლევა საერთო წონით 12 – 15 კგ, რაც 6 – 7-ჯერ აღემატება საკუთარ წონას. მიღებული კვერცხის შეგროვება ხდება ხელით, დილის 9-დან 14 სთ-მდე, შემდეგ ხდება შეფუთვა (იწყობა სპეციალურ ფირფიტებზე - ლატოკებზე) ზომების მიხედვით, ხოლო შემდეგ თავსდება სპეციალურ სავენტილაციო ხვრელების მქონე ყუთებში და იგზავნება სადისტრიბუციოდ.

სამუშაო ძალა. თვითღირებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ხარჯი, განსაკუთრებით საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ვინაიდან მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობები როგორც წესი არ იყენებენ დაქირავებულ შრომას, ანუ არ წევენ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, რის გამოც მაღალია მათი მოგების მარჟა (დაახლოებით 35%-მდე როდესაც ჩვეულებრივ დარგში არ აღემატება 20%-25%). მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კი ძირითადი პერსონალის ხელფასი საშუალოდ არის თვითღირებულების 10%.

4.2 პროდუქტიულობა

დარგში პროდუქტიულობის სრულად წარმოჩენისათვის აუცილებელია ცალ-ცალკე იქნეს გაანალიზებული მაჩვენებლები ფრინველისა და კვერცხისათვის და ასევე საოჯახო მეურნეობების, საოჯახო ფერმერული მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, ვინაიდან როგორც კვლევამ აჩვენა მათ შორის სხვაობა არსებითია.

საოჯახო მეურნეობებში პროდუქტიულობა ყველაზე დაბალია, ამ შემთხვევაში ფრინველის გამოზრდა და კვერცხის წარმოება ხდება ნახევრად საველე პირობებში, რაც იმას ნიშნავს რომ ფრინველი დღისით ღია სივრცეში იმყოფება, ხოლო ღამით თავსდება სპეციალურ გალიებში. ასეთ ფრინველს გამოჩეკვიდან სულ მცირე 60 დღე ჭირდება იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მისგან ხორცის მიღება, თუმცა ამ



დროისათვის მისი წონა 1 კგ-ს არ აღემატება, ზრდასრულ

სურათი - 3 ინკუბადორი იმერეთში

წონას კი, რომელიც დაახლოებით 1,5 კგ-ია ის საუკეთესო შემთხვევაში 90 დღეში აღწევს. კვერცხს კი იძლევა დაახლოებით 150 დღის შემდეგ და საშუალოდ წელიწადში 100 კვერცხს იძლევა. მსგავსი ტიპის მეურნეობებზე ზედაპირული დაკვირვების შედეგადაც კი ნათლად ჩანს მათი დაბალპროდუქტიულობა და არამომგებიანობა, თუმცა საოჯახო მეურნეობები არ აფასებენ საკუთარ შრომას და ასევე არ აფასებენ საკუთარ მეურნეობაში მიღებულ საკვებ პროდუქტებს. დაბალი პროდუქტიულობის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის უნდა აღინიშნოს ფრინველის არაეფექტური ჯიშები და შესაბამისი საწარმოო პირობების არარსებობა.

საოჯახო მეურნეობებთან შედარებით გაცილებით მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევიან საოჯახო ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. მათი უმეტესობა სახორცე ფრინველის წარმოებას მისდევს, რომლის ერთი საწარმოო ციკლი 2 თვე გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში ფრინველი აღწევს 1,5-დან 2 კგ-მდე. ისინი წელიწადში ახორციელებენ 4-დან 6-მდე საწარმოო ციკლს (ფერმერები როგორც წესი, სეზონურობის და სადღესასწაულო დღეების გამო, ახალ ციკლს წინა ციკლის დასრულებისთანავე არ იწყებენ, რის გამოც საშუალოდ წელიწადში 5 საწარმოო ციკლი გამოდით). ამის საშუალებას მათ აძლევთ შესაბამისი ჯიშის (ძირითადად ბროილერის) ფრინველის გამოყენება და მათი გამოზრდისათვის აუცილებელი პირობების (გათბობა, განათება, ვენტილაცია, კვალიფიციური პერსონალის არსებობა, დროული მკურნალობის ჩატარება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა, შესაბამისი საკვების გამოყენება და ა.შ.) არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბროილერში ხორცის გამოსავლიანობა ცოცხალი მასის 80%-ზე მეტს შეადგენს, საკვებად ვარგისი ნაწილები კი 68%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებლებს, რომლებსაც საოჯახო მეურნეობებში ნახევრად საველე პირობებში გამოყენებული ჯიშები იძლევიან.


მსგავსი სიტუაცია არის ასევე კვერცხის წარმოების კუთხითაც. საოჯახო მეურნეობები

ხასიათდებიან გაცილებით დაბალი პროდუქტიულობით ვიდრე საოჯახო ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ვინაიდან ეს უკანასკნელნი კვერცხის მიღებისათვის იყენებენ კვერცხის მადებარი ჯიშის ფრინველს, რომლებიც კვერცხის მოცემას დაახლოებით 120 დღიდან იწყებენ და 80 კვირის ასაკამდე დღეების საშუალოდ 75%-ში იძლევიან თითო კვერცხს. უმეტესწილად ასეთი ჯიშის დაახლოებით 100 დღის ქათმების შემოყვანა ძირითადად ხდება თურქეთიდან, თუმცა ზოგჯერ ასევე ხდება იგივე ჯიშის 1 დღიანი წიწილის შემოყვანაც. თურქეთიდან, თუმცა ზოგჯერ ასევე ხდება იგივე ჯიშის 1 დღიანი წიწილის შემოყვანაც.

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით იყენებენ ინკუბატორებს. კერძოდ, უწევენ მომსახურებას ადგილობრივ მოსახლეობას წიწილის გამოჩეკვის მიმართულებით. აღნიშნული მომსახურებიდან შემოსავალი ერთ კვერცხზე არის 0,2 ლარი, ხოლო ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის ძირითადად ელ-ენერგიაზე და ხელფასზე. მოგება მარჯა საშუალოდ აღნიშნული საქმიანობიდან არის 20-25%. აღნიშნული ბიზნესი როგორც წესი არის სეზონური და მასში დასაქმებულია 3-დან 6 ადამიანამდე.

4.3 მეფრინველეობის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

სქემა 1. ბაზრის განაწილება დისტრიბუციის არხების მიხედვით



სასაქონლო წონაზე მისვლის შემდეგ ფრინველი იყიდება ცოცხლად, ან ხორცის სახით, რისთვისაც ხდება დაკვლა, გასუფთავება და ქსელში შეტანა. მსხვილ მწარმოებლებს აქვთ სპეციალური სასაკლაოები, ხოლო შედარებით მცირე მწარმოებლები კი კურსტარული მეთოდებით ახდენენ ფრინველის დაკვლა-გასუფთავებას. მცირე საოჯახო მწარმოებლები პროდუქციის უფრო მეტ ნაწილს ყიდიან საკუთარ სოფელში კერძო პირებზე. მსხვილი წარმოებლები კი ამარაგებენ სხვადასხვა მსხვილ იურიდიულ პირებს (მაგალითად არმიას, სასაჯელთაღსრულების სისტემას და ა.შ.), როგორც წესი შუამავალი ფირმების გავლით. კვლევამ აჩვენა, რომ წარმოებული ფრინველის დაახლოებით 60% იყიდება ხორცად, ხოლო 40% ცოცხალი. დაკლულის დიდი ნაწილი, დაახლოებით 90% მიაქვს დისტრიბუტორებს/გადამყიდველებს, დანარჩენი კი იყიდება ადგილზე. ცოცხალი ქათმის დაახლოებით 25%-ს ყიდულობს უშუალო/საბოლოო მოხმარებელი, ხოლო 75% მიაქვს დისტრიბუტორებს/გადამყიდველებს.

კვერცხი. კვერცხი მალფუჭებადი პროდუქტია, ის არ ექვემდებარება გაყინვას, ხანგრძლივი ტრანსპორტირების დროს ტემპის პროცენტი მაღალია, რაც თავის მხრივ გაფუჭების ალბათობას ძალიან ზრდის და ა.შ. წვრილი მწარმოებლები, როგორც წესი, უშუალოდ აწვდიან საკუთარ პროდუქციას ბაზარს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან



საკუთარი მსუბუქი არასპეციალური ავტომობილების გამოყენებით, თუმცა მათი მოცულობა უმნიშვნელოა, ხოლო რაც შეეხება მსხვილ მწარმოებლებს, მათ როგორც წესი აქვთ საკუთარი დისტრიბუციის სისტემა, სპეციალური ავტომობილები როგორც ხორცის ასევე კვერცხის ტრანსპორტირებისათვის. დისტრიბუტორები/გადამყიდველები კი როგორც წესი სარგებლობენ საკუთარი ავტომობილებით.

4.4 პროდუქციის ფასები

ფრინველი/ხორცი. ფრინველის დაკვლა იწყება მაშინ, როცა მისი წონა მიაღწევს 1,8 კგ-ს, რათა გასუფთავებული ხორცის წონა იყოს 1,5 კგ მაინც. ფრინველის ხორცის ფასი არის 4,5-დან 6-ლარამდე კილოგრამზე. ის დამოკიდებულია სეზონურობაზე, მაგალითად მარხვის დღეებში ნაკლებია ფასი, ხოლო დღესასწაულებზე იზრდება. როგორც წესი, სეზონურობა უფრო მეტ გავლენას ახდენს დაკლული ფრინველის ფასზე და არა ცოცხალის ფასზე. გაყინული პროდუქტის ფასი არის დაახლოებით 0,5-1 ლარით ნაკლები. კვერცხი. პროდუქტის გასაყიდი ფასი მერყევა და იცვლება სეზონურად. შედარებით მაღალი ფასები ფიქსირდება სექტემბრიდან მაისამდე პერიოდში. კვერცხი

იყოფა ზომის მიხედვით კატეგორიებად. პირველი კატეგორიის კვერცხის ფასი წლის განმავლობაში მერყეობს 16-26 თეთრის ფარგლებში, მეორე კარეგორიის კვერცხი პირველთან შედარებით 2 თეთრით იაფია, მესამე კატეგორიის 3-4 თეთრით იაფი, ხოლო 0 კატეგორიის კვერცხი პირველთან შედარებით 3-4 თეთრით ძვირია. სასურსათო მაღაზიებში შესაძლებელია ყველა კატეგორიის კვერცხის შეძენა.

პროდუქციის საშუალო საცალო ფასები იმერეთის რეგიონის ბაზარზე:

- 1 კგ ფრინველის ხორცი გაუყინავი – 4,5-6 ლ
- 1 კგ ფრინველის ხორცი გაყინული – 3,5-5 ლ
- 1 კგ ფრინველის ხორცი გაყინული (იმპორტირებული) – 3,5-4 ლ
- 1 ც ადგილობრივი კვერცხის ფასი - I კატეგორია 0,30 ლარი , II კატეგორია 0,28 ლარი, III კატეგორია 0,26 ლარი, 0 კატეგორია 0,32 ლარი
- 1 ც იმპორტირებული კვერცხის ფასი - I კატეგორია 0,23-0,25 ლარი

5 კონკურენტუნარიანობის აღმასის მოდელი: - რესურსების პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე სექტორები, კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსების პირობები

პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია რამდენიმე ძირითადი კომპონენტი, კერძოდ:

საკვები. პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი (დაახლოებით 60%) უკავია საკვებს. მის დამზადებას ძირითადად ახდენენ თავად ფერმერები, შემდეგი წესით: ადგილობრივი წარმოების ან იმპორტირებულ სიმინდს, რომელიც ქუცმაცდება (იღერდება), ერევა ე.წ. „პრემიქსი“. ეს უკანასკნელი არის სპეციალური საჭმელი ფრინველისათვის, რომელიც შეიცავს მისი ზრდისათვის საჭირო ვიტამინებს. ის დაახლოებით 20–25%-ის ოდენობით ერევა სიმინდში და გამოიყენება საკვებად. პრემიქსის წარმოება ქვეყანაში არ ხდება და მისი ფასი ადგილობრივ ბაზარზე არის 1,8-2 ლარი კგ. გაცილებით უფრო მერყევა სიმინდის ფასები სეზონურობის გამო და როგორც წესი იცვლება 0,45 ლ-დან 0,8-ლარამდე. ფასი დაბალია შემოდგომაზე, მოსავლის მიღებისას და პირიქით იზრდება გაზაფხულზე და ზაფხულში.

გარდა ზემოთ აღნიშნული, ადგილზე შეზავებული საკვებისა, ფრინველის ასაზრდელად გამოიყენება ასევე სპეციალურად გამზადებული საკვები, ე.წ. „გრანული“, რომელიც უფრო ეფექტურია, თუმცა უფრო ძვირიც ღირს, ამიტომ ზოგჯერ ფრინველს მას აჭმევენ შედარებით დაბალ ასაკში მისათვის, რომ უფროსწრაფად მოხდეს მისი გაზრდა, ხოლო შემდეგ ეკონომიის მიზნით ფრინველი გადაყავთ ადგილზე შეზავებულ საკვებზე. 1 კგ. "გრანულის" საშუალო ფასი ადგილობრივ ბაზარზე არის 3 ლარი კგ. ერთდღიანი წიწილის 2 კგ-მდე (35-40

დღემდე) გაზრდისათვის საჭიროა დაახლოებით 4 კგ საკვები.

მედიკამენტები. ფრინველისათვის საჭირო მედიკამენტების შექმნა ხდება ქუთაისის და თბილისის ვეტ აფთიაქებში. მათი ფასი და ხარისხი ყველა აფთიაქში არის დაახლოებით ერთნაირი, ანუ ერთი და იმავე დასახელების პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ფრინველის მსხვილ მწარმოებლებს როგორც წესი ყავთ საკუთარი ვეტ-ექიმი ხოლო წვრილი მწარმოებლები საჭირო მომსახურებებს იღებენ ან ვეტ აფთიაქებიდან ან კიდევ მსხვილი მწარმოებლების ვეტ ექიმებისაგან. მედიკამენტები არის უცხოური წარმოების და მათი იმპორტი ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან. მთლიანი ხარჯების სტრუქტურაში მედიკამენტების და სხვადასხვა სახის სადუზინფექციო საშუალებების (გამოიყენება ფერმის დეზინფექციისათვის) ხვედრითი წილი არის დაახლოებით 2–2,5%. ძირითადად გამოიყენება შემდეგი მედიკამენტები: ენროფლოქსი – ანტიბიოტიკი, ახალი გამოჩეკილისთვის, ფასი 2 ლარი, ყოფნის 20 ქათამს ერთ აცრაზე; ჩიკტონიკი – ვიტამინები, ახალი გამოჩეკილისთვის, ფასი 2 ლარი, ყოფნის 20 ქათამს; H ვაქცინა – ჭირის აცრა, უკეთდება 2 თვისას, ფასი 3 ლარი, ყოფნის 100 ქათამს.

შესაფუთი მასალები. კვერცხის ჩაწყობა ხდება მუყაოს ფირფიტებში, რომლებიც იმპორტირებული არის ძირითადად უკრაინიდან. ერთი ფირფიტის ფასი არის 0,10 ლარი, ხოლო ყუთის (რომელშიც თავსდება ფირფიტები) კი 0,70 ლარი. ფირფიტაზე ეტევა 30 კვერცხი, ხოლო ყუთში 12 ფირფიტა, ანუ 360 კვერცხი, შესაბამისად, 1 ცალი კვერცხის შეფუთვის ხარჯი არის 0,5 თეთრი. კვერცხი ასევე იმუთება პლასტმასისაგან დამზადებულ ყუთებში, რომლებშიც ეტევა 10 ცალი. შესაფუთი ყუთის ღირებულება შეადგენს 10 თეთრს.

გალია. გალიები არის დაახლოებით 1მ/2მ-ზე, აქვს რამდენიმე სართული, დაახლოებით 3-4. გალიებში ძირს აფენენ სპეციალურ ქაღალდს, რომელთაც პერიოდულად ცვლიან. თავდაპირველად გალიაში სვამენ 15-მდე წიწილს, მაგრამ შემდგომ ფრინველის ზრდის შესაბამისად ამცირებენ რაოდენობას დაახლოებით 5-მდე. წიწილის დასმამდე ხდება გალიების და გარემოს დეზინფექცია, გალიებს წამლავენ ფორმალინის ხსნარით, ასევე დგამენ მღრნელების საწინააღმდეგო წამლებს.


5.2 მოთხოვნა

საქსტატის მონაცემებით 2012 წელს საქართველოში ფრინველის ხორცის წლიური მოხმარება შეადგენს 57,4 ათასი ტონას, რაც შეადგენს წელიწადში 13კგ ერთ სულზე გაანგარიშებით. რომელთაგან დაახლოებით 21% არის ადგილობრივი წარმოების, ხოლო 79% იმპორტირებული ძირითადად აშშ-დან, ბრაზილიიდან, თურქიტიდან და ა.შ.. იგივე პერიოდის მონაცემებით კვერცხის წლიური მოხმარება საკვებად ქვეყანაში შეადგენს 445 მილიონ ცალს, რომელთაგან 100% იყო ადგილობრივი წარმოების, ვინაიდან სახელმწიფოს შეზღუდვა ქონდა დაწესებული კვერცხის იმპორტზე ქვეყანაში, თუმცა ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2013 წლისათვის, მოხმარებული კვერცხის დაახლოებით 5% არის იმპორტირებული.


იმპორტირებული გაყინული ხორცის მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია იმით, რომ მისი ფასი თითქმის ორჯერ ნაკლებია ადგილობრივი წარმოების პროდუქციასთან შედარებით და მიუხედავად იმისა, რომ მისი ხარისხი, გემოვნური თვისებები, როგორც წესი მომხმარებლებში ეჭვს იწვევს, მძიმე სოციალური ფონის გამო მას მაინც მოიხმარენ.

რეგიონში წარმოებული როგორც ცოცხალი ფრინველი, ასევე ხორცი სრულად იყიდება ქვეყნის შიგნით, უმეტესწილად რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე და სასურსათო მაღაზიებში. ამასთან, წვრილი მწარმოებლები როგორც წესი, პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე, ხოლო საშუალო და მსხვილი მწარმოებლები ასევე ორიენტირებული არიან შედარებით უფრო მსხვილ სავაჭრო ქსელებში (ქუთაისში) პროდუქციის რეალიზაციაზე და სხვადასხვა იურიდიულ პირებზე (საბავშვო ბაღები, არმია და ა.შ.).

დიაგრამა 4 - კვერცხის მოხმარება საქართველოში (მილინი ცალი)⁴



დიაგრამა 5 - კვერცხით თვითუზრუნველყოფის დონე საქართველოში⁵




⁴ http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cAnimal+Husbandry%5cTABLE_3.02-13.px&layout=tableViewLayout1

⁵ http://pc-axis.geostat.ge/Selection.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cFood+Balance+Sheets%2c+Supply+and+Utilization%5cTABLE_4.12.px

საქართველო არ ახდენს ფრინველის ხორცის ექსპორტს, შესაბამისად ქვეყნაში წარმოებული ფრინველის ხორცის 100% ქვეყნის შიგნით მოიხმარება. აღნიშნულ მაჩვენებელზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოში იმპორტირებული ფრინველის ხორცი გამოიყენება, როგორც დეფიციტის შემავსებელი და არა როგორც ბაზრიდან შიდა პროდუქციის გამძვავებელი. დიაგრამა 6 გვიჩვენებს საქართველოში ხორცის ბაზრის სტრუქტურას 2006-2013 წლებში.

დიაგრამა 6 - საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცის მოხმარება საქართველოში⁶ (ათასი ტონა)



სხვადასხვა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ხორცის ბაზრის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები მეტწილად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- 2006 წელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც არსებობდა მაღალი რისკი ფრინველის გრიპის გავრცელებისა, რის გამოც მომხმარებლები თავს იკავებდნენ ფრინველის ხორცის მოხმარებისაგან, ხოლო მწარმოებლები ამცირებდნენ წარმოების მოცულობას. აღნიშნული რისკის შემცირებამ კი შესაბამისად გამოიწვია მოხმარების ზრდა;
- ფრინველის ხორცის საშუალო ფასი დაახლოებით 40%-ით ნაკლებია ვიდრე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ფასი, რაც ასევე მნიშვნელოვან განვლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

⁶საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო <http://geostat.ge/>

5.3 მონათესავე სექტორები

საშუალო და მსხვილ მეფრინველეობის ფერმებს ასევე აქვს საკუთარი წისქვილი, რომელსაც ისინი ერთის მხრივ იყენებენ საკუთარი საჭროებისათვის საკვების დასამზადებლად, ხოლო მეორეს მხრივ წვრილი ფერმერებისათვის მომსახურების გასაწევად, თუმცა ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში საკმაოდ დაბალია.

ცალკეული მეწარმეები საკუთარი ძალებით ახდენენ ფრინველის გალიების დამზადებას როგორც საკუთარი საჭროებისათვის ისე გასაყიდად. გალიები არის კუსტარულად დამზადებული რომელსაც არ გააჩნიათ წყლისა და საკვების მიწოდების ავტომატური სისტემები. გალიის სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება მისი ზომების მიხედვით და შეადგენს ყოველ 1 ფრინველზე 1 ლარს. მოგების მარჟა საშუალოდ აღნიშნული საქმიანობიდან არის 20%, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში მიღებული შემოსავლები არ არის არსებითი.

5.4 კონკურენცია

ფრინველის ხორცის ბაზარზე ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონშიც კონკურენცია არის საკმაოდ მძაფრი. ბაზარზე ოპერირებენ ორი ტიპის მიმწოდებლები – იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები. იმპორტიორთა მთავარი უპირატესობა დაბალი ფასებია, თუმცა მათი პროდუქციის ხარისხი (მომხმარებლის აღქმაში) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ადგილობრივს, ვინაიდან შემოტანილი ხორცი როგორც წესი არის ე.წ. მეორადი, ის მიღებულია ისეთი ფრინველისაგან, რომლებიც გამოიყენებოდა კვერცხის მისაღებად და პროდუქტიულობის დაკარგვის შემდეგ მოხდა მისი სახორცედ გამოყენება. თუმცა იმის გამო, რომ ბაზარზე არსებულ პროდუქციაზე არ არის შესაბამისი აღნიშვნა, მომხმარებელთა უმეტესობა სოციალური ფონიდან გამომდინარე სწორედ მას მოიხმარს.

ფრინველის ხორციდან მიმართებაში კონკურენცია არსებობს ასევე ადგილობრივ მწარმოებლებს შორის, რაც მნიშვნელოვნად განპირობებს საბაზრო ფასებს. ამ მხრივ უპირატესი მდგომარეობა აქვს წვრილ საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც როგორც წესი არ იყენებენ დაქირავებულ შრომას და პრაქტიკულად არ იხდიან არანაირ გადასახადებს (მიწა, ქონება, საშემოსავლო და ა.შ.), თუმცა მსხვილი მწარმოებლები მათი ამ უპირატესობის დაბალანსებას მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე ცდილობენ და შედეგად დღესდღეობით ბაზარზე მეტნაკლებად წარმატებით მოქმედებენ ყველა მასშტაბის მეწარმეები.

განსხვავებული მდგომარეობა არის კვერცხთან მიმართებაში. უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ რაც სახელმწიფომ შეზღუდა კვერცხის იმპორტი ქვეყანაში, ბაზარი თითქმის სრულად ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდებოდა, თუმცა შემოდებული იქნა ე.წ. კვოტები მწარმოებლებისათვის, რამაც შეზღუდა ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლა და

დაარღვია თავისუფალი კონკურენციის პრინციპი. ამჟამად უკვე მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვა და არ არსებობს ბაზარზე შესასვლელად ხელოვნური ბარიერები.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 მეფრინველეობა - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

ფრინველის ხორცი მდიდარია მაღლხარისხიანი ცილებით, იგი ნაზი და წვნიანია. ქათმის თეთრი ხორცი არის დიეტური. კვერცხი შეიცავს ცილებს, ცხიმებს, 10–ზე მეტ სხვადასხვა სახის ვიტამინს და 20–მდე მინერალურ ნივთიერებას. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანაში ამ ეტაპზე არ არსებობს ფრინველის ხორცის ხარისხის კონტროლის ეფექტური და ქმედითი მექანიზმები, რომელიც ბაზარზე მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტის დაშვებას უზრუნველყოფს. ამით ზარალდება ის მიმწოდებელი რომელიც მაღალხარისხიან და შესაბამისად მაღალფასიანი პროდუქციას აწვდის ბაზარს, ვინაიდან პროდუქციაზე ინფორმაცია კი არ არის მოცემული მის შესახებ. მწარმოებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობა ბაზარზე აუცილებელია როგორც მიმწოდებელთა ისე მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოებისათვის.

7 ექსპლუატაციური მწარმოებლურობა - დამუშავება, გადადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

მთავარი აღჭურვილობა და ინვენტარი, რომელსაც იყენებენ ფრინველის ხორცისა და კვერცხის მწარმოებლები არის სათანადოდ მოწყობილი შენობა ფერმისათვის, რომელიც აღჭურვილი იქნება ვენტილაციისა და გათბობის სისტემით, მუდმივი წყლითა და განათებით. ასევე ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღჭურვილობა არის გალიები ფრინველებისათვის. ფერმერთა უმეტესობა აღნიშნულ გალიებს კუსტარულად ამზადებს, არ აქვთ ვენტილაციის სისტემები და მხოლოდ განიავებას ახდენენ შენობისას, გათბობას კი როგორც წესი შემის ღუმელით უზრუნველყოფენ. მსხვილ ფერმერები კი შედარებით გამართულ და თანამედროვე სისტემებს იყენებენ, მათ შორის ავტომატიზირებული ხაზები ქათმებისთვის საკვებისა და წყლის მისაწოდებლად და ა.შ., რომლებიც როგორც წესი შემოტანილია თურქეთიდან. მაღალი ხარისხის ასეთი დანადგარების მიახლოებითი ღირებულება 500 კვ.მ ფართობის მქონე ფერმისათვის, რომელიც იტევს საშუალოდ 13000 ფრთა ქათამს არის: გალიები აღჭურვილი წყლისა და საკვების მიწოდების ავტომატური სისტემით – 35 ათასი ლარი; ცენტრალური გათბობის სისტემა გაზზე - 3500 ლარი;

ვენტილაციის სისტემა – 4500 ლარი.

გარდა ამისა, მსხვილ მწარმოებლებს ასევე აქვთ საკუთარი სასაკლაო და სამცივრე დანადგარები, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევაში წიწილების საჩეკი – ინკუბატორი, თუმცა ბოლო წლებში არჩევენ წიწილების არა ადგილზე გამოჩეკვას, არამედ შემოყვანას სხვადასხვა ადგილობრივი მეწარმეებისაგან.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

მსხვილ ფერმებს ყავთ, სხვადასხვა სახის სპეციალური ტექნიკა (სატვირთო ავტომობილი, ტრაქტორი), რომელიც გამოიყენება მაგალითად საკვების ტრანსპორტირებისათვის. წვრილი მწარმოებლები იყენებენ საკუთარ მსუბუქ ავტომობილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

ძირითადი საფრთხე არის ეპიდემიის გავრცელება, რომელიც იწვევს ფრინველის მასიურ დაცემას. ამასთან, ფერმაში ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება კერის შენარჩუნება, რის გამოც იმავე ფერმაში ფრინველის განთავსება შეუძლებელი ხდება. ეპიდემიის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვა, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ასევე ხარისხიანი საკვების შემოტანა, აუცილებელი მედიკამენტების სისტემატიური გამოყენება და ა.შ.

ძირითადი დაავადებები, რომელთა გავრცელების რისკი ქვეყანაში არსებითია არის: ფრინველის გრიპი, ქათმის ჭირი, ცრუ ქათმის ჭირი (ნიუკასლის დაავადება) და ა.შ.

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციისა და ინფორმაციის მოძრაობა

რეგიონში წარმოებული როგორც ცოცხალი ფრინველი, ასევე ხორცი სრულად იყიდება ქვეყნის შიგნით, უმეტესწილად რეგიონში არსებულ სასოფლო-სამურნეო ბაზრებზე და სასურსათო მაღაზიებში.

გაუყინავი პროდუქციის შეფუთვა როგორც წესი არ ხდება, გაყინულ პროდუქციას კი მხოლოდ ცალკეული მწარმოებლები ფუთავენ. თუმცა, გაყინვაც იშვიათად ხდება, იმის გამო, რომ: შესაბამისი სამაცივრე მეურნეობები აქვთ მხოლოდ 2-3 მსხვილ მწარმოებელს; გაყინული პროდუქტის ფასი არის დაახლოებით 0,5-1 ლარით ნაკლები ერთ კილოგრამზე; ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია, როგორც წესი არ ჭირს და შესაბამისად გაყინვის აუცილებლობაც იშვიათად დგება.

პროდუქციის ბაზრისათვის მიწოდება ხდება შუამავლების საშუალებით, რომლებიც მწარმოებლებისაგან საბითუმო ფასად იძენენ ფრინველსა და კვერცხს, ან კიდევ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით (მსხვილი მწარმოებლების შემთხვევაში).

11 ინსტიტუციები, სოციალური კაპიტალი, ადამიანური რესურსები და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

მეფრინველეობის სფეროში რეგიონში ცოდნის გადაცემა ხდება ფერმერთა შორის პირადი ურთიერთობების შედეგად, ვინაიდან არ არსებობს რაიმე სახის ორგანიზებული სასწავლო-ტრენინგ კურსები, რომელიც სრულ საბაზისო განათლებას მისცემდა დაინტერესებულ პირს აღნიშნულ დარგში. თუმცა პერიოდულად (ძირითადად თბილისში) სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ იმართება ტრენინგები მეფრინველეობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, მწარმოებელთა უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია მათ შესახებ. შესაბამისად ისინი კონსულტაციებს როგორც წესი იღებენ უფრო გამოცდილი ფერმერებისაგან, ვეტერინარებისაგან ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებისაგან.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

მეფრინველეობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული დარგი არის ვეტერინარია, რომლის შესასწავლადაც არსებობს ქვეყანაში სხვადასხვა უნივერსიტეტებში (აგრარული უნივერსიტეტი – თბილისი, ახალციხის უნივერსიტეტი – ახალციხე) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

9.3 სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობა

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მწარმოებლები პირადი ურთიერთობების საფუძველზე აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საკვების, მედიკამენტების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 მეფრინველეთა ასოციაცია

ქვეყანაში არსებობს "მეფრინველეთა ასოციაცია", თუმცა მისი როლი დარგის განვითარებაში დიდი არ არის. 2013 წლამდე, როცა ქვეყანაში შეზღუდული იყო კვერცხის იმორტი და ადგილობრივ მეწარმეებს ჰქონდა წარმოების მოცულობაზე დაწესებული კვოტები, აღნიშნული ასოციაცია ფაქტიურად წარმოადგენდა კარტელური ტიპის გაერთიანებას, რომლის ფარგლებიც ასოციაციის წევრი კვერცხის მწარმოებლები ინაწილებდნენ წარმოების კვოტებს, ბაზარზე ფასების რეგულირების მიზნით.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც ფრინველისა და კვერცხის მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

კვერცხის წარმოება ქვეყანაში იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით (განსხვავებით სოფლის მეურნეობის სხვა პირველადი წარმოების პროდუქტებისაგან), რაც ზრდის ადგილობრივი ნაწარმის თვითღირებულებას და არაკონკურენტუნარიანს ხდის მას იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით. ამასთან, კვერცხის წარმოება იმ ქვეყნებში საიდანაჯ ხდება იმორტი საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს; საქართველოში ფრინველის კვერცხის იმპორტისათვის აუცილებელია სპეციალური ნებართვა სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან, რომელსაც იმპორტით დაინტერესებული პირები საკმაოდ მარტივი პროცედურების გავლის შედეგად იღებენ, განსხვავებით წინა წლებისაგან, როცა ფრინველის გრიპის შემოტანის რისკის არსებობის გამო პრაქტიკულად შეზღუდული იყო კვერცხის იმპორტი ქვეყანაში.

12 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

<ul style="list-style-type: none"> • წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი (მომხმარებელთა შეფასებით) • მომხმარებლის მაღალი ლოიალურობა ადგილობრივი პროდუქტის მიმართ • მეფრინველეობის ხანგრძლივი გამოცდილება 	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი პროდუქტიულობა და მაღალი თვითღირებულება • თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა • საკუთარი იაფი საკვები ბაზის ნაკლებობა • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • მენეჯმენტის გამოუცდელობა და დაბალი კვალიფიკაცია
<ul style="list-style-type: none"> • მზარდი ადგილობრივი ბაზარი • სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული ადგილობრივი წარმოების გასაზიარებლად • მსოფლიოში გავრცელებული მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა • კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობა 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი კონკურენცია უცხოელი მწარმოებლებიდან • ფრინველის ეპიდემიის გავრცელების რისკი

11.2 მეფრინველეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი

ფერმერული მეურნეობების გამსხვილებისათვის ხელისშეწყობა. წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია სამცივრე და სხვა საჭირო მეურნეობის მოწყობა, რომლებიც ზრდიან მეურნეობის პროდუქტიულობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთერთ გზას კოოპერირების განვითარება წარმოადგენს. საკვებწარმოების ბაზის განვითარება. ქვეყანაში მარცვლეული კულტურების წარმოების გაფართოება და მათი ფასის შემცირება გამოიწვევს მეფრინველეობის პროდუქციის (ხორცი, კვერცხი) წარმოების თვითღირებულების შემცირებას, რაც გაზრდით მათ კონკურენტუნარიანობას.

თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფერმერებისათვის. ფერმერთა დიდი ნაწილი იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიებს, რის გამოც დაბალია პროდუქტიულობის დონე. არსებული მეფრინველეობის ფერმების თანამედროვე ტექნოლოგიებით და ტექნიკით აღჭურვისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სალიზინგო სისტემა.

პროდუქტიული ჯიშების გავრცელების ხელისშეწყობა. თანამედროვე პროდუქტიული ჯიშების გამოყენება როგორც მეხორცეობაში ისე კვერცხის წარმოებაში, მნიშვნელოვნად გაზრდის დარგის პროდუქტიულობას.

12 ბიბლიოგრაფია

1. აგრარული განვითარების ჯგუფი www.agro.ge/index.php?m=1089
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo
3. სურსათის ეროვნული სააგენტო http://nfa.gov.ge/index.php/lang_id=GEO&sec_id=89
4. აგრო თრეიდინგ ჯორჯია http://agrotrading.ge/index.php?page=324&news_id=38&lang=geo